nea.gov.ge - წესები და პირობები

ეს წესები არეგულირებს:

- ვებგვერდის გამოყენებას;
- მფლობელთან სამართლებრივ ურთიერთობას ან სხვა ნებისმიერ შეთანხმებას

მომხმარებელი ამ დოკუმენტს უნდა გაეცნოს ყურადღებით.

დოკუმენტში გამოყენებული ტერმინები:

ვებგვერდი - nea.gov.ge

მომხმარებელი/თქვენ - ნებისმიერი პირი, ვინც ისარგებლებს ვებგვერდით nea.gov.ge

მფლობელი/ჩვენ - სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო და კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი

სხვა ტერმინები, რომელიც დოკუმენტში შეიძლება არ იყოს განმარტებული, განიმარტება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ვებგვერდის მფლობელი და მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი:

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო (შემდგომ - სააგენტო)

მის.: დავით აღმაშენებლის გამზირი 150, 0112, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995322439503 / +995322439510

ელ.ფოსტა: info@nea.gov.ge

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი:

ჯონი ჩონიაძე

ელ.ფოსტა: j.choniadze@gmail.com

ვებგვერდის ადმინისტრირებას ახორციელებს:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი.

ტელ.: +995322378040

ელ.ფოსტა: alex.potapov@mepa.gov.ge

რა უნდა იცოდეს მომხმარებელმა

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ამ დოკუმენტის ზოგიერთი დებულება შეიძლება მხოლოდ გარკვეული კატეგორიის მომხმარებლებს ეხებოდეს. კერძოდ, ზოგიერთი დებულება შეიძლება მიემართებოდეს ისეთ მომხმარებელს, რომლებიც არ არის ფიზიკური პირი. მსგავსი შეზღუდვები ყოველთვის მხოლოდ იმ ადგილზე მითითებული, რომელზეც ეს შეზღუდვები ვრცელდება. ასეთი მითითების არ არსებობის შემთხვევაში, დოკუმენტი მიემართება ყველა მომხმარებელს.

გამოყენების პირობები

თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ეს პირობები ზოგადად ვრცელდება ამ ვებგვერდის გამოყენებისას.

გამოყენების ან წვდომის დამატებითი პირობები შეიძლება მოქმედებდეს კონკრეტულ სიტუაციებში და ასეთ შემთხვევაში, დამატებით იქნება მითითებული ამ დოკუმენტში.

ამ ვებგვერდის გამოყენებით, მომხმარებლები ადასტურებენ, რომ აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:

- მომხმარებლებისთვის არ არსებობს შეზღუდვები ფიზიკური ან იურიდიული პირის სტატუსიდან გამომდინარე;

რეგისტრაცია

ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით სარგებლობისთვის საჭირო არ არის მომხმარებლის რეგისტრაცია და ავტორიზაცია.

ვებგვერდი საშუალებას იძლევა სააგენტოში წარმოდგენილი იქნეს განცხადება/შეტყობინება. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია გრაფიდან „კონტაქტი“.

მომხმარებლის მიერ აღნიშნული სერვისის საშუალებით გამოგზავნილ ინფორმაციას სააგენტო იღებს ელექტრონულ ფოსტაზე. ამიტომ, უკუკავშირის განსახორციელებლად, აუცილებელია მხოლოდ საკონტაქტო ელექტრონული ფოსტისა და გამოსაგზავნი ტექსტის მითითება. მომხმარებლის სახელისა და საკონტაქტო ტელეფონის ნომრის მითითება ნებაყოფლობითია.

მომხმარებელი პასუხისმგებელია, მის მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტისა და სააგენტოში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე.

მათი მონაცემების უკანონო გამოყენების შემთხვევაში, მომხმარებლებმა სააგენტოს უნდა შეატყობინონ დოკუმენტში მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე.

ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია

თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან იდენტიფიცირებადი, ამ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია წამოადგენს მფლობელის საკუთრებას.

მფლობელი იღებს მაქსიმალურ ძალისხმევას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია არ არღვევს მოქმედი სამართლებრივ დებულებებს ან მესამე მხარის უფლებებს. თუმცა, შესაძლებელია ყოველთვის ვერ იქნეს ასეთი შედეგი მიღწეული, ამიტომ მომხმარებლებს გთხოვთ, თქვენივე უფლებების დაცვის მიზნით, შესაბამისი პრეტენზიები ამ დოკუმენტში მითითებული საკონტაქტო მონაცემებზე აცნობოთ სააგენტოს.

უფლებები ვებგვერდზე არსებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით

სააგენტო ფლობს და იტოვებს ყველა ინტელექტუალური საკუთრების უფლებას ვებგვერდზე არსებული შესაბამისი ინფორმაციისთვის. საკუთრების აღმნიშვნელი ჩანაწერი განთავსებული იქნება შესაბამის ადგილზე.

სხვა შემთხვევაში, ვებგვერდზე განთავსებული მონაცემები საჯაროა და არ არსებობს მომხმარებლების მიერ მათი გამოყენების შემზღუდავი გარემოებები.

მომხმარებლებს არ ეკრძალებათ ვებგვერდის შინაარსის დაკოპირება, ჩამოტვირთვა, გაზიარება, თარგმნა, გამოქვეყნება, ვებგვერდზე განთავსებული შინაარსიდან წარმოებული ნამუშევრების შექმნა.

მომხმარებლებს ეკრძალებათ ვებგვერდის შინაარსის შეცვლა, გარდაქნა, გაყიდვა, ლიცენზიის მიცემა, რედაქტირება, გადაცემა, მესამე პირებისთვის უფლების გადაცემა, სხვა პირთათვის ნებართვის მიცემა, რომ შექმნან ვებგვერდის შინაარსიდან წარმოებული ნამუშევრები.

მომხმარებლებს მოვუწოდებთ, რომ სააგენტოს მენეჯმენტის შესახებ განთავსებულ ინფორმაციას მოეპყრონ პატივისცემით და გაითვალისწინონ ინფორმაციის გამოქვეყნების მიზანი.

მომხმარებელს შეუძლია ჩამოტვირთოს, დააკოპიროს და/ან გააზიაროს ამ ვებგვერდზე ხელმისაწვდომი შინაარსი მხოლოდ პირადი და არაკომერციული გამოყენებისათვის. ასეთ შემთხვევაში, მომხმარებელი ვალდებულია მიუთითოს, რომ ინფორმაცია ეკუთვნის სააგენტოს.

კანონმდებლობით განსაზღვრული, ნებისმიერი მოქმედი შეზღუდვა ან გამონაკლისი ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის გამოყენებასთან დაკავშირებით უცვლელი რჩება.

შინაარსი, რომელსაც მომხმარებლები უზრუნველყოფენ

მფლობელი მომხმარებლებს საშუალებას აძლევს ამ ვებგვერდის საშუალებით სააგენტოში წარმოადგინოს ინფორმაცია.

ამ შემთხვევაში მომხმარებლები ადასტურებენ, რომ არ არღვევენ მოქმედი სამართლებრივ დებულებებს და/ან მესამე პირების უფლებებს.

უფლებები მომხმარებლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით

მომხმარებლები აღიარებენ და თანხმდებიან, რომ მათ მიერ ამ ვებგვერდის საშუალებით წარმოდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით, ისინი სააგენტოს აძლევენ ინფორმაციის უსასყიდლოდ დამუშავების უფლებას.

განსაზღვრული სამართლებრივი დებულებების ფარგლებში, მომხმარებლები უარს ამბობენ ნებისმიერ მორალურ უფლებაზე, რომლებიც მათ შეიძლება ჰქონდეთ ამ ვებგვერდზე მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციასთან დაკავშირებით.

ვებგვერდი არ იძლება საშუალებას, მომხმარებლებმა ატვირთონ ფაილები განათავსონ სასურველი ინფორმაცია.

პასუხისმგებლობა მოწოდებული ინფორმაციისთვის

მომხმარებლები სრულად არიან პასუხისმგებელნი ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელსაც ამ ვებგვერდის საშუალებით თავად წარმოუდგენენ სააგენტოს.

მომხმარებლები აღიარებენ და თანხმდებიან, რომ **სააგენტო არ ფილტრავს და ასწორებს მათ მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას.**

თუმცა, სააგენტო იტოვებს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ, წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეცვალოს ვებგვერდით სარგებლობის პირობები, მათ შორის ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა და საშუალება.

სააგენტო იტოვებს უფლებას, საჭიროების შესაბამისად, რეაგირება მოახდინოს მომხმარებლების მიერ ვებგვერდის საშუალებით წარდგენილ ინფორმაციაზე, რაც მომხმარებელს ეცნობება მის მიერ მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე.

შესაბამისად, მომხმარებლები სრულად არიან პასუხისმგებლები, მათ მიერ წარმოდგენილი საკონტაქტო მონაცემების სისწორეზე. გამომდინარე აქედან, სააგენტო მომხმარებლებს მოუწოდებს, რომ გამოგზავნამდე დარწმუნდნენ მათ მიერ მითითებული ინფორმაციის სისწორეში.

სააგენტო სრულად იხსნის პასუხისმგებლობას მომხმარებლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორესა და ნამდვილობაზე.

მომხმარებლები თანხმდებიან, რომ სააგენტოსთან არ გააჩნიათ რაიმე პრეტენზია იმ ინფორმაციის გამო, რომელიც მათ ამ ვებგვერდზე ამ ვებგვერდის მეშვეობით წარმოადგინეს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სააგენტოს მიერ ინფორმაციის განხილვა გამოიწვევს მომხმარებლებისთვის არასასურველ შედეგს.

დამატებით რესურსებზე წვდომა

ამ ვებგვერდის მეშვეობით მომხმარებლებს შეიძლება ჰქონდეთ წვდომა მესამე მხარეების მიერ მოწოდებულ გარე რესურსებზე.

მომხმარებლები აღიარებენ და თანხმდებიან, რომ სააგენტოს არ აქვს კონტროლი ასეთ რესურსებზე, შესაბამისად, არ არის პასუხისმგებელი მათ შინაარსზე და ხელმისაწვდომობაზე.

მესამე მხარეების მიერ მოწოდებული ნებისმიერი რესურსებით სარგებლობის წესები, მათ შორის, ნებისმიერი შესაძლო უფლებების მინიჭება შინაარსთან და ინფორმაციასთან დაკავშირებით, წარმოიშვება თითოეული ასეთი მესამე მხარის პირობებიდან ან, მათი არარსებობის შემთხვევაში, მოქმედი სამართლებრივი დებულებებიდან.

გამოყენება

ეს ვებგვერდი და სერვისი შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ ფარგლებშიც, რასაც ისინი უზრუნველყოფენ, ამ პირობების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მომხმარებლები სრულად არიან პასუხისმგებელნი იმის უზრუნველყოფაზე, რომ მათი მიერ ამ ვებგვერდის და/ან სერვისის გამოყენება არ არღვევს მოქმედ კანონმდებლობას, რეგულაციებს ან მესამე პირების უფლებებს. ამიტომ, მფლობელი იტოვებს უფლებას მიიღოს ნებისმიერი შესაბამისი ზომა მისი კანონიერ ინტერესების დასაცავად, მათ შორის შეზღუდოს მომხმარებლების წვდომის ვებგვერდზე ან სერვისზე, ნებისმიერი არასათანადო ქმედება შეატყობინოს შესაბამის ორგანოებს - სამართალდამცავი ან ადმინისტრაციული ორგანოები - როდესაც მომხმარებლები ჩართულნი ან მხილებულნი არიან შემდეგ ქმედებებში:

- კანონების, რეგულაციებისა და/ან ამ პირობების დარღვევა;
- მესამე პირების უფლებების დარღვევა;
- მფლობელის კანონიერ ინტერესების მნიშვნელოვანი დარღვევა;
- მფლობელის ან მესამე პირების შეურაცხყოფა.

საერთო დებულებები

მომსახურების შეწყვეტა

მომსახურების საუკეთესო დონის უზრუნველსაყოფად, სააგენტო იტოვებს უფლებას შეწყვიტოს სერვისი ტექნიკური მომსახურების, სისტემის განახლებების ან სხვა ცვლილებების გამო, რასთან დაკავშირებითაც ახდენს მომხმარებლების სათანადო ინფორმირებას.

კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, სააგენტოს შეუძლია ასევე შეწყვიტოს ვებგვერდის ფუნქციონირება ან მისი საშუალებით ინფორმაციის წარმოდგენა.

სააგენტო პატივს სცემს მომხმარებლების უფლებებს და იმ შემთხვევაში, თუ სერვისი შეწყდება, სააგენტო ითანამშრომლებს მომხმარებლებთან, რათა მათ შეძლონ პერსონალური მონაცემებისა და მათთან დაკავშირებულ, ვებგვერდის საშუალებით წარმოდგენილ ინფორმაციაზე წვდომა.

დამატებით, ვებგვერდი შესაძლოა არ იყოს ხელმისაწვდომი სააგენტოს გონივრულ კონტროლის მიღმა არსებული მიზეზებისა და გარემოებების გამო, როგორიცაა „ფორს მაჟორი“ (ინფრასტრუქტურული ავარიები ან გათიშვები და სხვა).

კონფიდენციალურობის პოლიტიკა

პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, მომხმარებლებს შეუძლიათ გაეცნონ კონფიდენციალურობის პოლიტიკას.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებები

ვებგვერდთან დაკავშირებული ნებისმიერი ინტელექტუალური საკუთრების უფლება, როგორიცაა საავტორო უფლებები, სავაჭრო ნიშნის უფლებები, პატენტის უფლებები და დიზაინის უფლებები, სააგენტოს ან მისი კონტრაქტორების ექსკლუზიური საკუთრებაა და ექვემდებარება მოქმედი კანონმდებლობით დაცვას.

ყველა სავაჭრო ნიშანი — ნომინალური ან ფიგურალური — და ყველა სხვა ნიშანი, სავაჭრო სახელები, მომსახურების ნიშნები, სიტყვიერი ნიშნები, ილუსტრაციები, სურათები ან ლოგოები, რომლებიც დაკავშირებულია ამ ვებგვერდთან, არის და რჩება სააგენტოს ან მისი კონტრაქტორების ექსკლუზიურ საკუთრებად და ექვემდებარება მოქმედი კანონმდებლობით დაცვას.

ამ პირობების ცვლილებები

სააგენტო იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს შეცვალოს ან განაახლოს ეს პირობები. ასეთ შემთხვევაში, ცვლილებების შესახებ, სათანადო წესით ხდება მომხმარებლების ინფორმირება.

მომხმარებლებთან ურთიერთობაზე ასეთი ცვლილებები იმოქმედებს მხოლოდ მათი გაცნობის შემდეგ.

ვებგვერდის განგრძობითი გამოყენება ნიშნავს, რომ მომხმარებელი ეთანხმება განახლებულ პირობებს. თუ მომხმარებლებს არ სურთ ცვლილებების დაცვა, მათ უნდა შეწყვიტონ ვებგვერდის გამოყენება.

თუ ეს სამართლებრივად საჭიროა, სააგენტო წინასწარ აცნობებს მომხმარებლებს, როდის შევა ძალაში შეცვლილი პირობები.

კონტაქტი

ყველა კომუნიკაცია, რომელიც დაკავშირებულია ვებგვერდის გამოყენებასთან, უნდა გაიგზავნოს ამ დოკუმენტში მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის გამოყენებით.

დებულებების სისწორე

თუ ამ პირობების რომელიმე კონკრეტული დებულება ჩაითვლება ან გახდება არასწორი ან მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო, არ იმოქმედებს დარჩენილი დებულებებზე და ისინი სრულად დარჩებიან ძალაში.

ბოლო განახლება: 26 სექტემბერი, 2024 წელი